საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №101
2016 წლის 16 დეკემბერი

ქ. თბილისი

,,საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სპეციალური ოპერაციების ძალების დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 29 იანვრის №7 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**
მუხლი 1
,,საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სპეციალური ოპერაციების ძალების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 29 იანვრის №7 ბრძანებით (ვებგვერდი, 03/02/2014, სარეგისტრაციო კოდი: 120340000.22.026.016229) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების მე-4 მუხლის:

1. პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. პირველი პუნქტის ,,ვ'' და ,,ზ'' ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ვ) რეინჯერთა ბატალიონი;

ზ) მხარდამჭერი ბატალიონი;''.

3. პირველ პუნქტს დაემატოს „თ" და „ი" ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

„თ) საფინანსო განყოფილება;

ი) იურიდიული განყოფილება.".

4. მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

5. მე-3 პუნქტს დაემატოს „ზ" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ზ) ძალებში საქმისწარმოების (მათ შორის – საიდუმლო საქმისწარმოების) განხორციელება/კონტროლი, ასევე საფელდეგერო მომსახურება და ძალებში არსებული დოკუმენტაციის შენახვა/დაარქივება.".

6. მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. რეინჯერთა ბატალიონის ფუნქციებია:

ა) სამთო, მკაცრ და შეზღუდულ გარემო პირობებში საბრძოლო და სხვა სახის მოქმედების შესაძლებლობა, როგორც ინდივიდუალურად, ასევე საცეცხლე მხარდამჭერი ქვედანაყოფის სახით;

ბ) სპეციალურ ოპერაციებს განკუთვნილი პირდაპირი მოქმედებების, ასევე სპეციალურ ოპერაციათა დამხმარე ოპერაციების განხორციელების უზრუნველყოფა;

გ) სრული სპექტრის ოპერაციების მსვლელობისას კონვენციურ ქვედანაყოფებთან ურთიერთქმედების შესაძლებლობა

8. მხარდამჭერი ბატალიონის ფუნქციებია:

ა) ძალების ძირითადი დისლოკაციის ადგილების დაცვა და უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, ძალებში ლოგისტიკური უზრუნველყოფის განხორციელება;

გ) ძალებზე დაქვემდებარებული ქვედანაყოფების სატრანსპორტო მომსახურება;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, ძალების პირადი შემადგენლობის სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, ძალებში ოპერატიული და ხარისხიანი კავშირგაბმულობის სისტემის განხორციელება.''.

7. მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს 8^1 და 8^2 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„8^1. საფინანსო განყოფილების ფუნქციებია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში, ძალების მიერ განსახორციელებელ შესყიდვებზე ხელშეკრულებების მომზადება, მათი საფინანსო გათვლები და შესყიდვებისას განსახორციელებელი შესაბამისი პროცედურების ზედამხედველობა;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, ძალების საფინანსო უზრუნველყოფა, ასევე პროგრამირებისა და საბიუჯეტო გათვლების შესაბამისი დაგეგმვა.

8^2. იურიდიული განყოფილების ფუნქციებია:

ა) ძალების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში, ძალებში შემოსული სამართლებრივი აქტების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, დისციპლინური წარმოების სამართლებრივი უზრუნველყოფა.“ .

მუხლი 2
ბრძანება ძალაშია 2016 წლის 19 დეკემბრიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ბუთხუზი**